

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

19.05.2023

### ექსპორტის ფასების ინდექსი საქართველოში 2023 წლის აპრილი

ექსპორტის ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით 1.8 პროცენტით შემცირდა. აღნიშნულ პერიოდში ფასების 1.8 პროცენტის კლება დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ჯგუფზე.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ექსპორტის ფასების ინდექსი შემცირდა 20.1 პროცენტით. სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციაზე ფასები შემცირდა 23.8 პროცენტით, დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე 18.8 პროცენტით, წყალმომარაგების, კანალიზაციის, ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით მომსახურების ჯგუფზე 32.0 პროცენტით, ხოლო ელექტროენერჯის, აირის, ორთქლისა და კონდიციონირებული ჰაერის ჯგუფზე დაფიქსირდა ფასების 24.0 პროცენტის ზრდა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2023 წლის აპრილში ექსპორტის ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსების ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:


კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2022 წლის აპრილთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	<b>სულ</b>	<b>79.9</b>	<b>-20.10</b>
<b>B</b>	<b>სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია</b>	<b>76.2</b>	<b>-4.31</b>
07	ლითონის მადნები	73.7	-4.49
<b>C</b>	<b>დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია</b>	<b>81.2</b>	<b>-15.01</b>
11	სასმელები	84.9	-4.07
24	ძირითადი ლითონები	74.8	-4.83
<b>D</b>	<b>ელექტროენერჯია, აირი, ორთქლი და კონდიციონირებული ჰაერი</b>	<b>124.0</b>	<b>0.01</b>
<b>E</b>	<b>წყალმომარაგება, კანალიზაცია, მომსახურება ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით</b>	<b>68.0</b>	<b>-0.79</b>

\* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

19.05.2023

### ქვესაბიჯის ფასების ინდექსი (წინა წლის შესაბამისი თვე = 100)



#### საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). E-mail: [gtetrauli@geostat.ge](mailto:gtetrauli@geostat.ge)

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: [mkavelashvili@geostat.ge](mailto:mkavelashvili@geostat.ge)